# რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2020

# შესავალი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა თავი მოუყარა რჩევებს, რომელთა გათვალისწინება დაეხმარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეინარჩუნონ უმაღლესი განათლების ხარისხი ელექტრონული სწავლების პირობებში, COVID-19-ის გავრცელების საფრთხის გავრცელების აღმოფხვრამდე.

ამისათვის ცენტრმა გაითვალისწინა:

- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან მიმართებით;
- დისტანციური სწავლების უნივერსიტეტების ევროპული ასოციაციის (European Association of Distance Teaching Universities – EADTU) რესურსები - https://eadtu.eu/about-eadtu/about-eadtu
- ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული ელექტრონულ სწავლებაზე ორიენტირებული პროექტების ფარგლებში მიღებული გამოცდილება (ეს პროექტებია SEQUENT – Supporting Quality in E-Learning European Networks http://teslaproject.eu/ და TeSLA - An Adaptive Trust-based e-assessment System for Learning, https://tesla-project-eu.azurewebsites.net/);
- ადგილობრივი კონტექსტი და ევროპის ქვეყნებში არსებული ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკა.

ცენტრის მიერ შემოთავაზებული რჩევები მოცემულია ხშირად დასმული შეკითხვების ფორმატით, რომელიც რეგულარულად განახლდება. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ცენტრი ინსტიტუციებს არ უდგენს კონკრეტულ გზებსა და მეთოდებს, თუ როგორ წარმართონ ინსტიტუციებმა ელექტრონული სწავლება. ცენტრი ინსტიტუციებს სთავაზობს ყურადღების გამახვილებას იმ ფაქტორებზე, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მათ ელექტრონული სწავლების პერიოდში განათლების ხარისხის შენარჩუნებაში.

**ელექტრონულ ფორმატზე გადასვლის შემთხვევაში რა ცვლილებების განხორციელებაა საჭირო სწავლების პროცესში? რა ფაქტორები უნდა გაითვალისწინონ ინსტიტუციება იმისათვის რომ შეინარჩუნონ განათლების ხარისხი?**

სოციალური დისტანცირების პირობებში მნიშვნელოვანი გახდა ელექტრონულ სწავლებასა და შეფასების ფორმებზე გადასვლა. პროგრამების შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელია გარკვეული კურსები/კურსების ნაწილი განხორციელდეს ელექტრონულ რეჟიმში. ამ პროცესში ინსტიტუციებმა საჭიროა გაითვალისწინონ სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა ფორმები და მეთოდები, სადაც გათვალისწინებული იქნება თუ რა გავლენა ექნება შეთავაზებულ ფორმატს სტუდენტებზე, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალზე.

ელექტრონული სწავლების რეჟიმზე გადასვლილას ინსტიტუციებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი ფაქტორები:

- ელექტრონული სწავლება და შეფასება არ გულისხმობს მხოლოდ ლექციების ელექტრონულ რეჟიმში განხორციელებას; ელექტრონული სწავლების შემთხვევაში ზუსტად ისევეა საჭირო სასწავლო აქტივობების დაგეგმვა, როგორც პირისპირ სწავლების დროს; დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს ელექტრონული სწავლების ფორმის სასწავლო პროცესში დანერგვისა და გამოყენების მექანიზმები, რომელიც გაითვალისწინებს უსდ-ში კურიკულუმის დაგეგმვის, მათ შორის სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების, ასევე, მატერიალური რესურსების (საბიბლიოთეკო, საინფორმაციო), სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასევე, ინსტიტუციამ ელექტრონული

სწავლებისას უნდა უზრუნველყოს სტუდენტის აქტიური მონაწილეობა სასწავლო პროცესში, როგორც სალექციო ასევე სასემინარო მუშაობების დროს.

- კურსების ელექტრონულ რეჟიმში წარმართვისას მთავარი გამოწვევაა პროგრამით, სასწავლო კურსებით/მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა. ამასთან დაკავშირებით კი გასათვალისწინებელია ელექტრონული სწავლების დროს გამოყენებული შეფასების მეთოდები, სტუდენტთა აქტიური მონაწილეობა სასწავლო პროცესში, ცოდნისა და უნარების ინტეგრირება ელექტრონულ სწავლებაში, ინდივიდუალური სწავლების საჭიროებების გათვალისწინება და შესაბამისი სწავლების მეთოდების შეთავაზება;
- აკადემიურმა პერსონალმა ზუსტად უნდა იცოდნენ სწავლის რა შედეგები უნდა იყოს მიღწეული სტუდენტების მიერ ელექტრონულ რეჟიმში განხორციელებული კურსების ფარგლებში, რათა საბოლოოდ მიღწეული იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები;
- ინსტიტუციებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ყველა სტუდენტს და ლექტორს შესაძლოა არ ჰქონდეს წვდომა ინტერნეტთან ან შეზღუდული ქონდეთ სწავლისათვის შესაბამისი სივრცე სახლებში;
- ინსტიტუციებს შესაძლოა დაჭირდეთ მეტი ძალისხმევა სტუდენტების სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი საბიბლიოთეკო რესურსებისა და IT რესურსებით უზრუნველყოფისათვის, რადგან ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით ინსტიტუციებს მოეთხოვებათ სტდენტების უზრუნველყოფა შესაბამისი სასწავლო რესურსებით; თუ აღნიშნული ვერ ხორციელდება და ინსტიტუცია სტუდენტებს ალტერნატიულ გზებს ვერ სთავაზობს, საჭირო იქნება სტუდენტებს ან გაუხანგრძლივდეთ სწავლის პერიოდი ან მიეცეთ შესაძლებლობა, რომ ინდივიდუალური გეგმების შედგენით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, დაასრულონ სასწავლო პროცესი გონივრულ დროში.
- ონლაინ სწავლების განხორციელება შესაძლებელია უფრო რთული იყოს გარკვეულ დარგებში (მაგალითად: მედიცინა, ფარმაცია, დენტალური მედიცინა, კომპიუტერული მეცნიერებები, ინჟინერია, ხელოვნება და სხვა). ამისათვის აკადემიურ პერსონალს შესაძლოა დაჭირდეს სწავლების მეთოდების შეცვლა, რისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება მხარდაჭერის შესაძლებლობების გაჩენა ინსტიტუციების მხრიდან; ამისათვის ინსტიტუციებმა სისტემური ტრეინინგები უნდა შეთავაზონ აკადემიურ პერსონალს ელექტრონული სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ელექტრონული რესურსი (ინგლისურ ენაზე), რაც დაეხმარება ინსტიტუციებს ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით:
    - შეფასების ალტერნატიული მიდგომები - https://sally-brown.net
    - ბრიტანეთის ღია უნივერსიტეტის ელექტრონული კურსი - https://www.open.edu/openlearn/education-development/education/take-your-teaching-online/content-section-overview?active-tab=description-tab
    - სტატია ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით: სინგაპურის გამოცდილება - https://www.timeshighereducation.com/blog/educating-despite-covid-19-outbreak-lessons-singapore?utm_source=THE+Website+Users&utm_campaign=81748f18e9-EMAIL_CAMPAIGN_2020_03_19_01_43&utm_medium=email&utm_term=0_daa7e51487-81748f18e9-75050901#survey-answer
- იმ პროგრამების შემთხვევაში, რომელიც დიდი ოდენობით პრაქტიკულ სწავლებას/კეთებით სწავლას ითვალისწინებს, შესაძლოა არაპრაქტიკული იყოს ელექტრონული სწავლება; ამ შემთხვევაში ინსტიტიტუციებმა უნდა იზრუნონ თუ როგორ დაიყვანონ მინიმუმამდე მდგომარეობით გამოწვეული უარყოფითი შედეგები;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის, რომლებიც ვერ ახერხებენ სრულად ჩაერთონ ელექტრონულ სწავლაში უნდა განხორციელდეს მხარდაჭერის

დამატებითი ღონისძიებები;

- მნიშვნელოვანია კომუნკაცია სტუდენტებთან განხორციელებულ ცვლილებებზე, სტუდენტები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ელექტრონულ რეჟიმზე გადასვლით გამოწვეულ შესაძლო შედეგებზე და მათ უნდა მიეცეთ გაცნობიერებული არჩევანის გაკეთება. ეს არჩევანი შესაძლოა გულისხმობდეს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას, ან დამატებითი აკადემიური აქტივობების შეთავაზებას კორონავირუსის გავრცელების საფრთხის აღმოფხვრის შემდეგ. ამისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია რომ ინსტიტუციას ადექვატურად ჰქონდეს გადანაწილებული რესურსები და იყოს მომზადებული.

**რა მინიმალური IT ინფრასტრუქტურაა საჭირო ინსტიტუციების მიერ ელექტრონული სწავლების ეფექტურად განხორციელებისათვის?**

ელექტრონული სწავლებისათვის საჭირო მინიმალური IT ინფრასტრუქტურა გამომდინარეობს ინსტიტუციის ელექტრონული სწავლების სტრატეგიიდან (რომელიც შესაძლოა იყოს ინსტიტუციაში მოქმედი სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის ნაწილი). ინსტიტუციას უნდა გააჩნდეს ელექტრონული სწავლების მართვის გეგმა, რაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი IT ინფრასტრუქტურით. ინსტიტუციის IT ინფრასტრუქტურა და IT სისტემები უნდა უზრუნველყოფდნენ სტუდენტების სწავლებას ელექტრონულ რეჟიმში - ელექტრონული სწავლების განხორციელებისთვის ინსტიტუციას უნდა ჰქონდეს შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი). ამისათვის საჭირო მინიმალური მოთხოვნების მაგალითები შესაძლოა იყოს სტუდენტების ელექტრონული წვდომის უზრუნველყოფა საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსებზე, ლიცენზიები სწავლებისათვის საჭირო „სოფტებზე“, პერსონალური სასწავლო პორტალი, ელექტრონული პორტფოლიო სტუდენტებისათვის, ელექტრონული გამოცდებისათვის ჩასატარებლად საჭირო ელექტრონული საშუალებები. სტუდენტებისათვის და აკადემიური პერსონალისთვის უნდა არსებობდეს ელექტრონულ სწავლებასთან და სწავლასთან დაკავშირებული დახმარების ტექნიკური ჯგუფი. ელექტრონულ სწავლის ფორმატზე გადასვლასთან დაკავშირებით ინსტიტუციებს შესაძლოა დასჭირდეთ ინფორმაციის განთავსებისათვის საჭირო მეტი სივრცე გაზრდილი რაოდენობით ელექტრონული ნაშრომების შესანახად.

**როგორ იცვლება ინსტიტუციის პერსონალის სამუშაო დატვირთვა ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლის შემთხვევაში? რა უნდა გაითვალისწინონ ინსტიტუციებმა?**

ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლა არ ნიშნავს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო დატვირთვის შემცირებას, უფრო მეტიც საწყის ეტაპზე თანამშრომელთა დატვირთვა შეიძლება იყოს უფრო მეტი. ამიტომ მნიშვნელოვანია ინსტიტუციებმა გაითვალისწინონ ეს და წაახალისონ თანამშრომლები სწავლების პროცესის ინოვაციურობაში წვლილის შეტანისათვის. ამასთანავე მნიშვნელოვანია ინსტიტუციების მიერ საჭირო ტრეინინგებისა და მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვა პერსონალისათვის.

**როგორ ვუზრუნველყოთ შეფასებებთან დაკავშირებული უკუკავშირის მიცემა სტუდენტებისათვის?**

ამისათვისაც ინსტიტუციებმა უნდა გამოიყენონ კომუნიკაციის ალტერნატიული გზები. ეს შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც ინსტიტუციებში მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმით, ასევე ჯგუფური მუშაობის მხარდაჭერის ელექტრონული პლატფორმებით (როგორიცაა Microsoft Teams, Slack, Google Hangouts და ა.შ.). ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ინსტიტუცია იყოს მოქნილი და თავად აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს მისცეს შესაბამისი კომუნიკაციის პლატფორმის არჩევის შესაძლებლობა.

ინდივიდუალური უკუკავშირის გარდა, სტუდენტებისათვის შეფასებებთან დაკავშირებული უკუკავშირის მისაწოდებლად ელექტრონულ რეჟიმში, ლექტორებს შეუძლიათ ჩაწერონ ვიდეო სტუდენტებისათვის მთლიანი ჯგუფის მიერ შესრულებულ ნაშრომებში გამოკვეთილი ძლიერი და

განსავითარებელი მხარეების შესახებ და გაუზიარონ სტუდენტებს.

**როგორ უნდა უზრუნველყონ ინსტიტუციებმა განათლების ხარისხი, თუ სტუდენტები ელექტრონულ სწავლას ვერ ახერხებენ?**

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შემუშავებული უნდა ჰქონდეთ გეგმა ინსტიტუციაში მიმდინარე ძირითადი პროცესების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, რომლითაც გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა შესაძლო რისკი და მათი სრულად ან ნაწილობრივ თავიდან აცილების საშუალებები, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში ზარალის შემცირების სტრატეგია. არსებულ პირობებში ინსტიტუციებმა უნდა იხელმძღვანელონ მოქმედი ბიზნესუწყვეტობის გეგმებით, ასევე ინსტიტუციაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი და კვალიფიკაციის მინიჭების წესებით. თუ მიუხედავად ამისა, ელექტრონული სწავლება მაინც ვერ ხორციელდება, ინსტიტუციებმა უნდა გადახედონ და შეაფასონ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის დატვირთვა და ამის საფუძველზე შეადგინონ გეგმა, თუ როგორ მოხდება გაცდენილი დროის კომპენსირება კორონავირუსის გავრცელების საფრთხის აღმოფხვრისთანავე. მნიშვნელოვანია ამ გეგმის განხილვა მოხდეს სტუდენტებთან და აკადემიური პერსონალის წევრებთან, რათა მათ წინასწარ იცოდნენ მდგომარეობით გათვალისწინებული შედეგები და ჰქონდეთ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა (მაგ. სტუდენტის სტატუსის შეჩერების არჩევანი). პრაქტიკული კურსების განხორციელება, რომელთათვისაც ელექტრონული ფორმატი შეუსაბამოა, რეკომენდებულია გადაიდოს, კორონავირუსის საფრთხის გავრცელების აღმოფხვრამდე.

**რა უნდა გაითვალისწინონ ინსტიტუციებმა ინფორმაციის საჯაროობის თვალსაზრისით ელექტრონული სწავლების პირობებში?**

მნიშვნელოვანია ინსტიტუციებმა უზრუნველყონ სტუდენტების ინფორმირება შექმნილი მდგომარეობით გამოწვეულ ცვლილებებზე პროგრამებთან, სწავლების მეთოდებთან, სასწავლო რესურსებთნ და სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებთან მიმართებით.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ინსტიტუციების მიერ საჯარო ნდობის მოპოვება ელექტრონულ რეჟიმში განხორციელებული სწავლების ფორმატიდან გამომდინარე. ანგარიშვალდებულების პრინციპის დაცვის მიზნით ინსტიტუციებმა საჯარო უნდა გახადონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გეგმავენ სწავლების განხორციელებას ელექტრონულ რეჟიმში ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. ამისათვის:

- ინსტიტუციები ჩამოყალიბებული უნდა იყვნენ იმაზე, თუ რა შემთხვევებში გადადებენ შეფასებების განხორციელებას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის რისკების თავიდან აცილების მიზნით (რადგან ელექტრონული სწავლების ფორმატში შეფასებების გაკეთებისას ასევე გასათვალისწინებელია შეფასების მეთოდების სამართლიანობასთან, ვალიდურობასთან და სანდოობასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე გადაწერის რისკები);
- დროულად და ეფექტურად უნდა მოხდეს სტუდენტების ინფორმირება სწავლების ალერნატიული გეგმის შესახებ;
- საჯარო ნდობის მოპოვების მიზნით ინსტიტუციებს საკუთარ ვებ-გვერდებზე შეუძლიათ განათავსონ სწავლების პროცესის გეგმა ალტერნატიული მეთოდების გამოყენებით, რაც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თუ როგორ უზრუნველყოფს ინსტიტუცია შეფასებების ვალიდურობას და სანდოობას ელექტრონული სწავლების ფორმატში;

**რა უნდა გაითვალისწინონ უნივერსიტეტებმა სტუდენტთა შეფასებებთან მიმართებით ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლის შემთხვევაში?**

ინსტიტუციებმა შეფასების ალტერნატიულ მეთოდებზე გადასვლის შემთხვევაში უნდა გაითვალისწინონ მრავალი ფაქტორი, მათ შორის:

- ელექტრონული სწავლების ფორმატში სტუდენტებმა უნდა მიაღწიონ სწავლების იგივე შედეგებს, რაც პროგრამით/სასწავლო კურსებით იყო გათვალისწინებული;
- საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს, დავალებების/გამოცდების ჩაბარების ვადების გაზრდა;
- თუ ინსტიტუციაში მოქმედი რეგულაციები საკმარისი მოქნილობის შესაძლებლობას არ იძლევა სტუდენტთა შეფასებებთან მიმართებით, ინსტიტუციებმა უნდა მოახდინონ ამ რეგულაციების გადახედვა და მათში ცვლილებების შეტანა. მნიშვნელოვანია რომ განხორციელებული ცვლილებებით კვლავ იყოს შესაძლებელი სტუდენტთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასება;
- თუ გარკვეული სწავლის შედეგების შეფასება ელექტრონულ ფორმატში ვერ განხორციელდება, ეს კურსები გადატანილ უნდა იქნას კორონავირუსის საფრთხის გავრცელების აღმოფხვრის შემდეგ;
- გარკვეულ შემთხვევებში შუალედური გამოცდები, რომელთაც სტუდენტები უნივერსიტეტის შენობაში წერდნენ, შესაძლებელია ჩანაცვლდეს ელექტრონული შეფასებით; ამ შემთხვევაში ინსტიტუციამ უნდა უზრუნველყოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვისათვის საჭირო პრევენციული ზომების მიღება გამოცდის ელექტრონულ ფორმატში ჩატარებისათვის. ამისათვის ინსტიტუციამ უნდა დაგეგმოს, როგორ დაადგენს სტუდენტის ვინაობას ელექტრონულ რეჟიმში ჩატარებული გამოცდის ფორმატში და უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტის მიერ წარდგენილი ნაშრომი ნამდვილად კონკრეტულ სტუდენტს ეკუთვნის. ამის უზრუნველსაყოფად არსებობს სხვადასხვა რესურსები და საშუალებები, რაც ინსტიტუციებმა უნდა გამოიყენონ. მაგალითად, ინსტიტუციებმა შესაძლებელია დაადგინონ გამოცდის დაწყების ერთი დრო, შექმნან სტუდენტთა პერსონალური ID კოდები. ქვემოთ მოყვანილია რამოდენიმე ელექტრონული საშუალება, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ინსტიტუციებს შეამცირონ ელექტრონული გამოცდების ჩატარების დროს გადაწერისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის რისკები, რაც შედეგების შეფასების სანდოობას გაზრდის, ეს საშუალებებია:
    - ProctorU - https://www.proctoru.com/
    - Mettl - https://mettl.com/
    - Examity - https://examity.com/
    - Verificient - https://www.verificient.com/
    - UC San Diego-ს ელექტრონული რესურსი https://myemail.constantcontact.com/Moving-to-Remote-Assessments-with-Integrity.html?soid=1129123483094&aid=9byY06J_J9s და სხვა.

  ნებისმიერი სისტემის გამოყენებისას ინსტიტუციებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ რამდენად მიუწვდებათ ხელი სტუდენტებს ინტერნეტზე და შესაბამისად სასწავლო რესურსებზე.
- შესაძლოა საჭირო გახდეს ეთიკის კოდექსის მოდიფიცირებაც;
- საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს შეფასების რუბრიკების მოდიფიცირება;
- გაითვალისწინეთ, რომ ელექტრონულ რეჟიმში შეუძლებელი იქნება სტუდენტების შეფასება ისეთ კურსებში, რომლებიც ითვალისწინებს კლინიკური გარემოს არსებობას, ლაბორატორიულ სამუშაოებს, საწარმოო პრაქტიკას, სტაჟირებას, საშემსრულებლო უნარების შეფასებას; ამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტთა ინფორმირება აღნიშნულის შესახებ, ასევე ინსტიტუციის მიერ შეთავაზებული ალტერნატიული გზების შესახებ იგივე სასწავლო შედეგების მიღწევის მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ ალტერნატიული გზების შეთავაზება უნდა მოხდეს სტუდენტთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფით.
- შეფასების ალტერნატიული გზების შეთავაზებისას ინსტიტუციები უნდა ეცადონ, რომ არ გაჩნდეს ახალი ბარიერები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის;
- შესაძლოა ინსტიტუციებმა განიხილონ შეფასებების გაკეთება კორონავირუსის გავრცელების საფრთხის აღმოფხვრის შემდეგ;
- ელექტრონული სწავლების ფორმატზე გადასვლამ შესაძლოა გამოიწვიო სტუდენტების

მხრიდან შეფასების გასაჩივრების შემთხვევების რაოდენობის გაზრდა, რისთვისაც საჭიროა ინსტიტუცია მომზადებული იყოს.

**რა გავლენა შესაძლებელია მოახდინოს ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლამ სტუდენტების მხარდაჭერის სერვისებით უზრუნველყოფისათვის?**

როდესაც სტუდენტებს დისტანცურ რეჟიმში უწევთ სწავლა, ინსტიტუციებმა უნდა უზრუნველყონ სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების ელექტრონულ რეჟიმში მიწოდება. ინსტიტუციურ შეფასებებში დაფიქსირებულ სტუდენტთა ელექტრონული მხარდაჭერის მექანიზმების საუკეთესო მაგალითებია ელექტრონული აკადემიური სერვისების უზრუნველყოფა, ონლაინ ბანკინგის, ელექტრონული შესყიდვების სისტემა. იმისათვის, რომ უნივერსიტეტებმა უზრუნველყონ სტუდენტების წვდომა უნივერსიტეტის კომპიუტერებზე, რომლებშიც გარკვეული ფასიანი პროგრამებია დაინსტალირებული (მაგალითად, NVivo, SPSS, 3DS Max, Maya, Revit, Autocad და ა.შ.), ინსტიტუციები იყენებენ სპეციალურ აპლიკაციებს (მაგ. AppsAnywhere), რომელიც სტუდენტების სახლის კომპიუტერებს უნივერსიტეტის კომპიუტერებთან აკავშირებს. ინსტიტუციები ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლის პირობებში მუდმივად უნდა ახდენდნენ სტუდენტთა საჭიროებების მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტთა უზრუნველყოფა ელექტრონული პლატფორმების გამოყენების ელექტრონული სახელმძღვანელოებით.

**რა გავლენა შესაძლებელია მოახდინოს მუშაობის ელექტრონულ ფორმატზე გადასვლამ სტუდენტების ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართულობის კუთხით?**

არსებულ პირობებში ინსტიტუციებს უწევთ გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება, შესაბამისად შესაძლებელია ყოველთვის მარტივი არ იყოს სტუდენტების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების კუთხით. ევროპის სხვადასხვა ქვეყნები ამისათვის უზრუნველყოფენ სტუდენტური თვითმმართველობების ძირითადი წევრებისა და ცალკეული პროგრამის სტუდენტთა წარმომადგენლების ჩართვას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მნიშვნელოვანია ინსტიტუციებმა გადაწყვეტილებების მიღებისას იზრუნონ სტუდენტთა ინტერესების დაცვაზე და განავითარონ პარტნიორული ურთიერთობები სტუდენტებთან.

**რა დადებითი შედეგები და დამატებითი შესაძლებლობები შეიძლება მოყვეს ელექტრონულ სწავლებას უმაღლესი განათლების სფეროში?**

ელექტრონული სწავლების ეფექტურად განხორციელება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ უზრუნველყოფს მეტ მოქნილობას განათლებაში, იძლევა ლექციებისათვის გათვალისწინებული დროის უფრო ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას, ქმნის მეტ შესაძლებლობებს განათლების ინტერნაციონალიზაციისათვის.

**როგორ უნდა ასახავდეს ინსტიტუციის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მექანიზმები ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს?**

ინსტიტუციებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი პოლიტიკა ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველსაყოფად. ეს მოიცავს ინსტიტუციის მიერ ელექტრონული ფორმით განხორციელებული სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. აღნიშნული მექანიზმები უნდა იყოს საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი. რეკომენდებულია ინსტიტუციებმა გაითვალისწინონ ევროპული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ასოციაციის (ENQA) ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტი (https://enqa.eu/indirme/Considerations%20for%20QA%20of%20e-learning%20provision.pdf), რომელიც ინსტიტუციებს სთავაზობს ზოგად ჩარჩოს ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან მიმართებით.

**რა საკითხებია გასათვალისწინებელი ინსტიტუციების მიერ ინფორმაციის მართვასთან მიმართებით ელექტრონული სწავლების ფორმატში?**

აღნიშნულთან დაკავშირებით პასუხები მოცემულია ევროპული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ასოციაციის (ENQA) ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში (https://enqa.eu/indirme/Considerations%20for%20QA%20of%20e-learning%20provision.pdf), რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს ინსტიტუციების მიერ სტუდენტთა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებს.

პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობა, ასევე გამომდინარეობს საქართველოს კანონიდან პერსალური მონაცემების დაცის შესახებ. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, როგორც პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელმა ორგანომ, დადო რამდენიმე რეკომენდაცია COVID-19-ის პირობებში პერსონალური მონაცემების დაცვასთან მიმართებით, რაც მიზნად ისახავს ინსტიტუციების დახმარებას კონფიდენციალური ინფორმაციის მართვის პროცესში https://personaldata.ge/ka/press/post/6349)..